მუშანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 213 (11824)

სამშაბათი, 13 სექტემბერი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა გვიხმობს!

დადგა შემოდგომა. ახალი დიდი საზრუნავი გაუჩნდათ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს. ჯერ ერთი, — უნდა აიღონ და დაბინავონ სხვადასხვა კულტურების ბარაქიანი მოსავალი, მეორეც, — საიმედო საფუძველი ჩაუყარონ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ ზრდასა და აყვავებას, შვიდწლეულის მესამე წლის უხვ მოსავალს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა კარგად დაიწყეს მიმდინარე სამეურნეო წელი და შარშანდელთან შედარებით უკეთესი წარმატებებიც მოიპოვეს. საკმარისია თუნდაც დავასახელოთ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების ბრწყინვალე შრომითი გამარჯვება. ახლა ულებენ რა სკკპ XXI ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებმა თავდადებული შრომის შედეგად წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს და პირნათლად შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სამშობლოს წინაშე. 7 სექტემბრისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 140.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 138.000 ტონისა, ე. ი. 15 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

აღნიშნული წარმატებისათვის რომ მიეღწიათ, სუბტროპიკული რაიონების მშრომელებმა ცოტა სიძნელეები როდი გადალახეს! ისინი არ ერიდებოდნენ აუტანელ სიცხეს და კოკისპირულ წვიმას; დარსა და ავდარში ერთნაირი მონდომებით, მთელი თავიანთი მგზნებარებით შრომობდნენ და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ.

გაგვახარეს ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეებმაც. მათ თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამის შედეგად რვა თვეში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 105,7 პროცენტით. საქართველოს მეცხოველეებმა ჩააბარეს ხორცი 23.893 ტონით, რძე 17 ათასი ტონით, კვერცხი 14,5 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს ახალციხისა და ტყიბულის რაიონების სოფლის მშრომელებმა. ამ რაიონებს 1960 წლის პირველ ნახევარში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის ამას წინათ მიენიჭათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ მოპოვებული აგრეთვე თეთრი წყაროს, ქარელისა და მთელ რიგ სხვა რაიონებს. დამახასიათებელია, რომ მოწინავე მეცხოველეები მტკიცედ ასრულებენ თავიანთ სიტყვას, ყოველთვიურად ადიდებენ პირუტყვის პროდუქტიულობას და სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარებას. ნაკლური ვალდებულების შესრულება თვითეული საბჭოთა ადამიანის სახელისა და ღირსების საქმეა. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს ეს ჭეშმარიტება.

ბარაქიანი შემოდგომა ახლა უხვად იბერტყავს თავის კალთებს იქ, სადაც წლის დასაწყისიდანვე იზრუნეს ყველაფერზე: ნათესების დამუშავებაზე და ბაღ-ვენახების მოვლა-პატრონობაზეც, ცხოველების საძოვრად გასუქებაზეც და წველადობის გადიდებაზეც.

დიდი ამოცანების წინაშე ღგანან ახლა ჩვენი მევენახეები და ბაღაელები. მალე დაიწყება რთველი. ცუდი ამინდის პირობებმა, მართალია, ერთგვარად იმოქმედა ყურძნის მოსავლიანობაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს მევენახეებს აქვთ ყველა პირობა შეასრულონ თავიანთი ვალდებულება, სამშობლოს მისცენ 170 ათასი ტონა ყურძენი და ამით მხარში ამოუდგნენ სახელოვან მეჩაიეებს! ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მოვალეობაა აქედანვე გააჩაღონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, რათა ყურძნის მოსავლის დიდი ნაწილი მიჰყიდონ სახელმწიფოს, რომ არ განმეორდეს გასული წლის პრაქტიკა, როცა სახელმწიფოს მიეყიდა ყურძნის მთელი მოსავლის ნახევარზე ნაკლები.

საქართველოს მებაღეებმა უკვე ისახელეს თავი სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვის საქმეში. გეგმის გადამტები დამზადებულია 4.300 ტონაზე მეტი ხილი. ამ საქმეში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს აფხაზეთისა და აჭარის ახლ რესპუბლიკებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, გორის, კასპის, ხაშურის, ქარელის, ლანჩხუთისა და ბოლნისის რაიონებმა. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში კარგა ხანია დაიწყო თესლოვანი ხილის კრეფა. საჭირო გაძლიერდეს ხილის კრეფისა და დამზადების ტემპი, მისი შეფუთვა და დანიშნულებისამებრ გაგზავნა.

შემჩნეულია, რომ მთელ რიგ ადგილებში კვლავ ხშირია შემთხვევები, როცა ხილს იძენენ სპეკულანტები და მუქთახორები, გზავნიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პირადი მოგების მიზნით. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების ამოცანა ის არის, რომ გააძლიერონ ბრძოლა ასეთი მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ, არ დაუშვან, რომ ყურძენი და ხილი ხელში ჩაუვარდეთ ჩარჩ-ვაჭრებსა და მუქთახორებს, მკაცრად დასაჯონ სპეკულანტთა ხელშემწყობნი და მფარველები.

ბარაქიანი შემოდგომა გვიხმობს მძლავრი შემოქმედებითი შრომისაკენ! რთველისა და ხილის კრეფის პარალელურად ჩვენმა კოლმეურნეებმა უნდა უდანაკარგოდ აიღონ სიმინდისა და ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების მოსავალი, დაამზადონ საკმარი რაოდენობის სილოსი სიმინდის უხვი მოსავლის, ნათესი და ბუნებრივი ბალახების თიბვის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ძირხვენების მწვანე ფოჩის გამოყენების გზით. არ დაეყოვნონ მზრალად ხვნა და საშემოდგომო თესვა, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება.

დიდია საშემოდგომო სამუშაოთა ფრონტი სოფლის მეურნეობაში. მაგრამ კარგი უნარიანი ხელმძღვანელობისა და მონდომების პირობებში შესაძლებელია ამ დიად სამუშაო ფრონტის ყველა უბანზე თვალსაჩინო წარმატებათა მოპოვება.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და ამით ღირსეულად შეხვდებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავს.

უპატაკებენ სამშობლოს!

△ ჰიათურა. (საკ. კორ.). ჰიათურელი მაღაროელები, რომლებიც ნიკოპოლელ თანამსაქმეებს ეჯიბრებიან, თავდადებულად შრომობენ წლიური დავალების ვადამდე შესრულებისა და სამშობლოს საქართველოს 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მაღალნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან და სოციალისტური შეჯიბრების სათავეში არიან სტალინის, კალინინის და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებმაც რესპუბლიკაში პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს.

ამ მაღაროებში ახლაც დიდი შრომითი აღმავლობაა. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა რვა თვეში ცხრა თვის დავალება შეასრულა და მარგანეცს ოქტომბრის ანგარიშში იძლევა. წარმატებით მუშაობენ იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც ი. წერეთელი, ე. აბაშიძე და გრ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობენ. დაუღალავად შრომობენ წარჩინებული მაღაროელები გ. ფხალაძე, დ. მაჭავარიანი, ბ. დოღაძე, ზ. მუმლაძე და სხვები, რომლებმაც უკვე წლიური გეგმები შეასრულეს.

ოქტომბრის ანგარიშში იძლევა მარგანეცს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ცხრა თვის დავალება 3 სექტემბერს შეასრულა. ამ გამარჯვებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის კომუნისტური შრომის ცვლას, რომელსაც ო. ლორია ხელმძღვანელობს, და პ. ჩოლოყაშვილის ცვლას, რომელიც იბრძვის კომუნისტური შრომის ცვლის სპეციალურ წოდების მოპოვებისათვის.

«ბალტიკა» ატლანტიკის ოკეანეში

ტურბოელექტრომავალი „ბალტიკა“, 11 სექტემბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

თითქმის ორი დღეღამეა ტურბოელექტრომავალი „ბალტიკა“, რომელზეც იმყოფებიან მეთაური საბჭოთა დელეგაციისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისის, რუმინეთის, ბულგარეთის, უკრაინისა და ბელორუსიის დელეგაციები ამხანაგების ი. კადარის, გ. გეორგიუ-დეჟის, ტ. ჟივკოვის, ნ. ვ. პოდგორნისა და კ. ტ. მახუროვის მეთაურობით, ზღვაშია.

„ბალტიკაზე“ შრომითი ცხოვრებაა. ნ. ს. ხრუშჩოვი, როგორც ჩვეულებრივ, დოკუმენტებზე მუშაობს, კითხულობს მიმდინარე ინფორმაციას, ისმენს რადიოსცნობებს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების, საზღვარგარეთის უმნიშვნელოვანესი ამბების შესახებ. ხომალდზე დიდი გულთბილობით შეხვდნენ სასიხარულო ამბავს, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს რომის ოლიმპიურ ასპარეზობაზე, რომ წარმატებები აქვთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპორტსმენებს. ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი სპორტსმენების თვალსაჩინო წარმატებებს. ოლიმპიურმა ასპარეზობამ კარგ ვითარებაში ჩაიარა და უდავოდ შეუწყო ხელი ყველა ქვეყნის ხალხთა შორის ნდობის, ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცებას. ჩვენმა სპორტსმენებმა გაამართლეს საბჭოთა ადამიანების იმედი. ეს ძალიან სასიამოვნოა, თქვა ნიკიტა სერგისძემ.

„ბალტიკის“ რადიოსადგურმა მიიღო საპასუხო დეპეშები ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე დანის პრემიერ-მინისტრის ვ. კამპმანისაგან და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ე. გერჰარდსენისაგან. თავის დეპეშაში ბ-ნი კამპმანი მადლობას უძღვნის ნ. ს. ხრუშჩოვს მისალმებისათვის. დიდად ვაფასებ თქვენს კეთილ სურვილებს, ნათქვამია დეპეშაში, და გულითადად გიპასუხებთ იმითვე. ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი გერჰარდსენი თავის პასუხში მადლობას უძღვნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. ყოველივე სიკეთეს გისურვებთ, ნათქვამია დეპეშაში, ამასთან ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გამოვთქვა გულწრფელი იმედი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი სესიის მუშაობა ნამდვილი წვლილი იქნება უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრაში და ამრიგად ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთგაგებას, საყოველთაო მშვიდობას.

გემზე მოდის ბევრი დეპეშა ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის დელეგაციათა მეთაურების სახელზე. საბჭოთა ადამიანები, საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეები სსრ კავშირის დელეგაციასა და სხვა დელეგაციებს, რომლებიც მიდიან გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, საუკეთესო წარმატებებს უსურვებენ მომავალ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მუშაობაში. „ბალტიკა“ ამთავრებს გზას ჩრდილოეთის ზღვაში. კაშკაშებს მზე, ზღვა წყნარია, ცა მოწმენდილია.

ტურბოელექტრომავალი „ბალტიკა“, 12 სექტემბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან მყოფი პრეს ჯგუფი იუწყება: დღეს დილის 10 საათზე გემის დროით, „ბალტიკამ“ გაიარა კორნუელის კონცხი და გავიდა ატლანტის ოკეანეში. ამინდი კარგია. მზიანი დარია. ოკეანის გრილი სუნთქვა იგრძნობა. ქარი იტაცებს ტალღების თოვლივით სპეტაკ ზღვეფს. წყალი შესამჩნევად გაცისფერდა. ჩვენს გემს წამდაუწუმ თავს დასტრიალებენ თვითმფრინავები. ეს უცხოელი კორესპონდენტები და კინოოპერატორები თვალყურს ადევნებენ „ბალტიკის“ სვლას, ფოტოსურათებს უღებენ მათ. როცა ლა-მანშს მივუახლოვდით, ნ. ს. ხრუშჩოვმა დეპეშები გაუგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტს გენერალ დე გოლს და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ მაკმილანს. დეპეშებში ნ. ს. ხრუშჩოვმა სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცა საფრანგეთისა და ინგლისის ხალხებს და გამოთქვა იმედი, რომ განხორციელდება თანამშრომლობა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან და დელეგაციებთან იმ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც დასახულია გენერალური ასამბლეის XV სესიის წინაშე, და განსაკუთრებით განიარაღების პრობლემის გადაჭრაში. „ბალტიკის“ რადიოსადგურმა მიიღო ჰ. მაკმილანის პასუხი ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშაზე. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მადლობას უძღვნის მას დეპეშისათვის და აღუთქვამს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა იზიარებს იმ იმედს, რომ წარმატებით დამთავრდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია და რომ იგი გულწრფელად ეცდება ეშმაკიტ პროგრესს განიარაღების საქმეში. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე მოდის უამრავი დეპეშები ამერიკის შეერთებული შტატებიდან თხოვნით მასთან შეხვედრების შესახებ, აგრეთვე მოდის დეპეშები უცხოეთის გაზეთებისა და რადიოტელევიზიის კომპანიებისაგან, რომლებიც თხოვენ უპასუხოს მათ შეკითხვებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი სესიის შესახებ და სხვა საერთაშორისო პრობლემებზე. ასე რომ ნ. ს. ხრუშჩოვს ახლა კიდევ მეტი საქმე აქვს. ყველა დელეგაცია მუშაობს, თავს კარგად გრძნობენ.

• • •

სურათზე: დელეგაციების ხელმძღვანელები ამხანაგები ბ. გეორგიუ-დეჟი, ნ. ს. ხრუშჩოვი, იანოშ კადარი და ტ. ჟივკოვი ტურბოელექტრომავალ „ბალტიკაზე“ ბალტიისკიდან გასვლის წინ.

კეთილი მგზავრობა!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამგზავრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XV სესიაზე — უდიდესი მსოფლიო მოვლენაა, რომელსაც სულით და გულით მიესალმება საბჭოთა ხალხი.

მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები საბჭოთა მთავრობის მეთაურს უსურვებენ კეთილ მგზავრობას. გამოსთქვამენ მზურვალე იმედს, რომ მისი ახალი დიადი მისია, გეფიერებას მოუტანს ხალხებს — მშვიდობა იზეიმებს მთელ მსოფლიოში.

□

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი კვლავ მიდის ნიუ-იორკში. გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაში კვლავ დაიკუნძულებს მისი ვაჟკაცური, დამარწმუნებელი ხმა.

რა შეიძლება იყოს იმ მისწრაფებებზე უფრო კეთილშობილური, რომლებიც მიზნად ისახავენ ახალი ომის თავიდან აცილებას, ომისა, რომელიც კაცობრიობას ჯოჯოხეთური ატომური ინაღდით ემუქრება.

ატომური ენერგია — ადამიანის გენიის უდიადესი მიღწევა — გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ მშვიდობიანი, კულტურული მიზნით, რათა ხელი შეუწყოს ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის ბედნიერებასა და კეთილდღეობას.

ა. სარიანინი,
აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი.

• • •

ჩვენი ქვეყანა ნამდვილი ბურჯია მშვიდობისა, სიცოცხლისა და სიყვარულისა. ჩვენი საქმე ამ დიად სიკეთეს ემსახურება. სიყვარულმა და სიმართლემ უნდა ხძლიონ ბოროტებასა და მტრობას.

ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის მონაწილეობა გენერალური ასამბლეის XV სესიაში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. ხალხებს იმედი აქვთ, რომ განიარაღება მოხდება და ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო ავკაცობასა და სიხხლისღვრას.

ი. გრიშაშვილი,
საქართველოს სახალხო პოეტი.

• • •

საბჭოთა კავშირის ხალხები და მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა უდიდეს სიხარულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე. ეს იმიტომ, რომ ამხანაგ ხრუშჩოვის ყოველი მოგზაურობა საზღვარგარეთ ძვირფასი წვლილი იყო მშვიდობისათვის ბრძოლაში.

სულით და გულით ვუსურვებთ საბჭოთა დელეგაციას და მის მეთაურს ამხანაგ ხრუშჩოვს სრულ წარმატებას გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში.

ვ. კაპინაშვილი,
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ვილჰელმ პიკის პატივსაცემად

ბერლინი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეკომენდებულ იქნას შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გარდაცვლილი პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის პატივსაცემად.

1. დაერქვას ქალაქ ჰუბენს ქალაქი ვილჰელმ-პიკ-შტადტი და შეიქმნას ამ ქალაქში ამხანაგ ვ. პიკის ხსოვნის ადგილი.

2. დაიდგას ამხანაგ ვილჰელმ პიკის ძეგლები ქალაქ ბერლინსა და ქალაქ ჰუბენში, ამასთან დაკავშირებით გამოცხადდეს კონკურსი.

3. ეწოდოს როსტოკის უნივერსიტეტს ვილჰელმ პიკის სახელობის უნივერსიტეტი.

4. შეიქმნას გერმანიის ისტორიის მუზეუმში ვილჰელმ პიკისადმი მიძღვნილი მუდმივი განყოფილება.

5. დაწესდეს ვილჰელმ პიკის ფონდი.

6. შეიქმნას ხსოვნის ადგილი ბანაკში „ვილჰელმ პიკის სახელობის პიონერული რესპუბლიკა“.

7. გამოშვებულ იქნას საფოსტო მარკების სერია.

8. 1961 წლის 3 იანვარს გაიმართოს ზეიმი ამხანაგ ვილჰელმ პიკის დაბადების 85 წლისთავის აღსანიშნავად.

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია ბერლინში

ბერლინი, 12 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით ინახულა ბერლინის ტრეპტოვის პარკი, სადაც დადგმულია საბჭოთა მეომრების — განმათავისუფლებელი მეომრების ძეგლი და გვირგვინით შეამკო.

გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი კ. მარონი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. კინიგი, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ი. პაკუბოვსკი, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

გვირგვინით შემკობისას ჩამწკრივებული იყო ეროვნული საბალხო არმიის საპატიო ყარაული, და შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ზათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს მოწინავე მუშა ემა გოგიტიძე დავალებას სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს. ამავე დროს სწავლობს მოსკოვის სატყეო ტექნიკუმის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ჩვენ დავეხმარებით კონგოს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სსრ კავშირის წარმომადგენლობის საპასუხო ნოტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს

ამა წლის 5 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულმა სსრ კავშირის წარმომადგენლობამ ნიუ-იორკში მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დაგ ჰამარშელდის ნოტა, რომელშიც დაუსაბუთებლად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს კონგოს რესპუბლიკის მთავრობას, ერთმანეთ, იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მთავრობა კონგოს აწვდის სატრანსპორტო საშუალებებს — სატვირთო ავტომობილებსა და სატრანსპორტო თვითმფრინავებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულმა სსრ კავშირის წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა საპასუხო ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციები კონგოს შესახებ არ შეიცავენ რაიმე დებულებას, რომელიც რამდენადმე ზღუდავდეს კონგოს რესპუბლიკის მთავრობის იმ უფლებას, რომ დახმარების თხოვნით მიმართოს უშუალოდ სხვა ქვეყნების მთავრობებს და მიიღოს ასეთი დახმარება, ისევე, როგორც არ იზღუდება და არც შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოთა ის უფლებები, რომ დახმარება გაუწიონ კონგოს რესპუბლიკას.

სსრ კავშირის წარმომადგენლობის ნოტაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირის მიერ კონგოს რესპუბლიკის მთავრობისათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო თვითმფრინავებისა და ავტომანქანების მიწოდების ფორმით არა თუ ეწინააღმდეგება უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, არამედ სავსებით შეესაბამება ამ რეზოლუციებს. (საკდესი).

ფართოვდება ეკონომიური თანამშრომლობა

საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის

9 სექტემბერს კრემლში ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის 1961-1965 წლების მესამე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, მონღოლეთის მხრივ — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოღვაწეები. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა მონღოლეთის მთავრობის დელეგაცია

10 სექტემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. მოლომჟამცის მეთაურობით.

დელეგაცია მოსკოვში აწარმოებდა კონსულტაციას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის პროექტის გამო და მოლაპარაკებას ეკონომიურ საკითხებზე. (საკდესი).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1960 წლის 18 სექტემბერს მოწვეულია
თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-7 მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-9 სესია.
სესია გაიხსნება დღის 2 საათზე ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4).
დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 1 საათიდან.
თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტი.

მეჯი ყურძენი, ხილი —სამშობლოს

მ. კუბავა.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ჩვენი მდიდარი და ლამაზი რესპუბლიკის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში მებაღეობა-მევენახეობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ქართველი ხალხი უსაზღვარი დროიდან განსაკუთრებული გულმოდგინებით ეკიდებოდა ვაზსა და ხეხილს, აშენებდა და უვლიდა ამ ძვირფას კულტურებს. ამიტომაც ბუნებრივია, როცა ქართულმა ღვინომ და ხილმა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც გაითქვეს სახელი.

საქართველოში მებაღეობა-მევენახეობის ნამდვილი აღმავლობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. თუ საქართველოს ხილს მანამდე შინა მოხმარების ხასიათი ჰქონდა, ჩვენს დროში, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად, ხილი ფართო სამრეწველო მნიშვნელობის პროდუქციად იქცა. სიამაყით უნდა ითქვას, რომ ქართული ღვინო და ხილი დღეს ამშვენებს როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა სუფრას და ამავე დროს სხვა ქვეყნებშიც იყიდება.

სკკპ XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის, აგრეთვე საქართველოს კპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებით დიდი ამოცანებია დასახული სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, კერძოდ, მებაღეობა-მევენახეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. 1965 წლისათვის ბაღების საერთო ფართობი საქართველოში აუცილებელ უნდა იქნას 140 ათას ჰექტარამდე, ვენახებისა — 150 ათასამდე. 1960-65 წლებში საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გაშენდება 24.600 ჰექტარი ახალი ბაღები და 71 ათასი ჰექტარი ვენახები. შვიდწლედის ბოლოსათვის ხილისა და ყურძნის საერთო მოსავალი ერთიანად გაიზრდება და მიაღწევს 550 ათას ტონას თვითეული.

ამ ამოცანების შესასრულებლად საქართველოს მებაღე-მევენახეები თავდადებით იბრძვიან. რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებისა და ბევრი კოლმეურნეობის ეკონომიკაში დღეს ხილი და ყურძენი შემოსავლის ძირითადი წყაროა.

ახლა ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც საშუალოდ ჰექტარზე 80-100 ცენტნერ ხილსა და ყურძენს იღებენ. წლების განმავლობაში გორის, სტალინირის, ახალციხის მეხილეებს, გურჯაანის, თელავის, თერჯოლის, წითელწყაროს მევენახეებს ხილისა და ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავთ.

მაგრამ მთელი პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში ბევრგან ჯერ კიდევ ბაღ-ვენახების მოვლის საქმე ჯეროვან დონეზე ვერ დგას, და ეს პირველ რიგში მებაღეობას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ბაღ-ვენახების გაშენების გეგმები ცუდად არ სრულდება, ნარგავებში ხშირად არადამკმაყოფილებელ ხორციელდება აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი. ჯერ კიდევ ფდია სიმეჩხრე, ადგილი აქვს ახალშენი ბაღებისა და ვენახების მოუვლელობის გამო დაღუპვას ბოლნისის, სამგორის, ქარელის, მცხეთის რაიონების, აფხაზეთის ასსრ და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში.

სამწუხაროა, რომ მეხილეობის ძირითადი რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობის ბაღებში უხარისხოდ ხდება ნიადაგის დამუშავება, რაც საგრძნობლად ამცირებს მოსავლიანობას. წლობით დაუმუშავებლობის გამო ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის, გორის რაიონის სოფლების ნიქოზის, ფხვენისის, ზნაურის რაიონის სოფელ მუღუთისა და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობის ბაღებში ნიადაგი დაკორდებულია.

შეუწყნარებლად დაბალ დონეზე დგას ხეხილის მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შედეგად ხილის მოსავლის დიდი ნაწილი დაზიანდა და უსტანდარტო აღმოჩნდა. მარტო ნაყოფშემის მიერ დაზიანებული ხილი ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში 60 პროცენტს აღწევდა.

ადგილობრივი საბჭოები პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მოწოდებული არიან ქმედითი დახმარება ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მთელი მუშაობა მოაწყონ ისე, რომ ბაღ-ვენახების ნარგავთა ყველა ფართობი სანიმუშოდ იყოს მოვლილი.

მისასალმებელია გორის რაიონის სოფელ შინდისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, ქარელის რაიონის სოფელ მოხისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის და თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივა, რომლის საფუძველზეც რესპუბლიკაში „გამოცხადდა ლაშქრობა ხეხილის ბაღებისა და ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. საქართველოს კომკავშირმა გადაწყვიტა მთლიანად მოახდინოს ხილის ბაღებში სიმეჩხრის ლიკვიდაცია 1962 წლის დამლევამდე, ხოლო ვენახებში — 1963 წლის დამლევამდე, აწარმოოს სისტემატური ეფექტური ბრძოლა ხეხილის სასოფლო-სამეურნეო მავნებლების (ვაშლის მინაფრთიანას, ნაყოფშემიახა და სხვ.) წინააღმდეგ და მიაღწიოს მათ მოსპობას ორი-სამი წლის განმავლობაში.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად გაადიდებს ხეხილის ბაღებისა და ვენახების სახარგებლო ფართობს, დამატებით მოგვცემს ათეულ ათასობით ცენტნერ მაღალხარისხოვან ხილსა და ყურძენს.

შვიდწლიანი გეგმით დიდი ამოცანებია დასახული რესპუბლიკის წინაშე ხილისა და ყურძნის დამზადების დარგში.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის მებაღეებმა და მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიპყიდონ 80 ათასი ტონა ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 ათასი ტონისა, ყურძენი — 170 ათასი ტონა ნაცვლად 163 ათასი ტონისა.

ჩვენი მეხილეები დაუღალავად იბრძვიან სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. კოკოვანი ხილის დამზადების გეგმა პირველი სექტემბრისათვის რესპუბლიკაში შესრულებული იყო 151 პროცენტით — ნაცვლად 15 ათასი ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 22,7 ათასი ტონა. დუშეთის რაიონმა 750 ტონა ხილი მისცა სამშობლოს ნაცვლად 150 ტონისა, ქარელის რაიონმა — 1.200 ნაცვლად 320 ტონისა, ხაშურის რაიონმა 292 ნაცვლად 50 ტონისა და ა. შ. დიდი გადაჭარბებით შესასრულეს სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვის გეგმები კასპის, საგარეჯოს, გორის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, საჩხერის, წყალტუბოს რაიონებმა, სამხრეთ ოსეთმა, აჭარამ, აფხაზეთმა.

დადგა თესლოვანი ხილის დამზადების გადამწყვეტი დღეები. წელს გეგმით 60 ათასი ტონა თესლოვანი ხილი უნდა დამზადდეს. აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გაიგზავნოს მოსკოვში, ლენინგრადსა და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო ცენტრებში. ზაფხულის ხილი პირველი სექტემბრისათვის დამზადებული იყო 4.000 ტონა. ამჟამად მახმბრივად დაიწყო საშემოდგომო თესლოვანი ხილის კრეფა-დამზადება.

ზაფხულის ჯიშების ვაშლისა და მსხლის დამზადებამ გვიჩვენა, რომ ამ საქმეში ბევრგან სერიოზული ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. წყალტუბოს, ლანჩხუთის რაიონებში, აჭარასა და აფხაზეთში იყო შემთხვევები, როცა დამამზადებელი ორგანიზაციები ჩამბარებლებისაგან არ იღებდნენ ადგილობრივი ჯიშის დასავლეთ საქართველოს მხხალ იმ მოტივით, რომ შორეული ტრანსპორტირებისათვის გამოუყენებელია ან არ წარმოადგენს საკონსერვო ახორციმენტს. ხილის ეს სახეობა კი თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე მაღალ ფასებში იყიდება.

ასეთ არანორმალურ შემთხვევებს რომ ადგილი არ ჰქონოდა, ცხადია, ზაფხულის ხილი გაცილებით მეტი დამზადდებოდა.

რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ხილს ნაადრევად კრეფენ, არ იცავენ კრეფის წესს, ზოგჯერ დაბერტყვასაც კი მიმართავენ. ასეთი უდარდელობის შედეგად ძვირფასი ხილის მნიშვნელოვანი ნაწილი უხარისხო პროდუქციაში გადადის, რაც დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს როგორც თვით კოლმეურნეობებს, ისე სახელმწიფოს, ხოლო მომხმარებელი უკმაყოფილო რჩება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები ხშირად უზრუნველყოფილი არ არიან ხარისხოვანი სატრანსპორტო ტარით, რის გამო საკოლმეურნეო ბაღებიდან მიმღებ პუნქტებამდე ხილის ტრანსპორტირების დროს ნაყოფი ზიანდება და მისი ხარისხიც მნიშვნელოვნად უარესდება.

დამამზადებელი ორგანიზაციების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხშირ შემთხვევაში ხილის მიმღები პუნქტები დაკომპლექტებულია არაკვალიფიციური და სრულიად შეუფერებელი კადრებით. ჩამბარებლები ხშირად კანონიერ პრეტენზიებს აცხადებენ იმის გამო, რომ მიმღებ პუნქტებში მათ მიერ მიტანილ ხილს ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით არ იღებენ. ეს და მსგავსი ნაკლოვანებები ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში ერთ-ერთ შემფერხებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს.

რესპუბლიკის ხილის დამამზადებელ ორგანიზაციებს ყველა პირობა გააჩნიათ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ხილის შეუფერხებელი მიღება-გადამუშავება. ამჟამად საამისოდ შექმნილია მძლავრი ტექნიკური ბაზა. მაგალითად, ცეკავშირის სისტემაში 1959-60 წლებში 47 მილიონი მანეთი იხარჯება ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის. 1958 წელთან შედარებით წელს ამ სისტემაში ტექნიკური ბაზის სიმძლავრე გაიზარდა 11 ათასი ტონით და მიაღწია 41 ათას ტონას. შვიდწლედის ბოლოსათვის აიგება 25 ათას ტონამდე მოცულობის ბაზები, რაზეც თითქმის 80 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

ასევე იზრდება საკონსერვტრესტის საწარმოთა სიმძლავრე, რომელიც 1965 წლის ბოლოსათვის მიაღწევს 51 ათას ტონას ნაცვლად ამჟამად არსებული 38 ათასი ტონისა. შეიქმნა და ფართოვდება ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ხილის გადამუშავების საწარმოებიც. ამ სისტემის ქარხნებს შეუძლიათ გამოუშვან 21 მილიონი პირობითი ქილა ხილის კონსერვი, ხოლო 1965 წლის ბოლოსათვის ეს ციფრი 39 მილიონამდე გაიზრდება.

დამამზადებელმა ორგანიზაციებმა წელს განსაკუთრებული ორგანიზებულობა და ოპერატიულობა უნდა გამოიჩინონ მუშაობაში, უნდა მიაღწიონ იმას, რომ გამოუყენებულ იქნას ხილის დამზადების მთელი რესურსები. მათ მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ ის გარემოება, რომ წელს ბევრ რაიონში ხილის კარგი მოსავალია (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, მახარაძე, ტყიბული, აჭარის ასსრ და სხვ.) და სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულების სრული შესაძლებლობაა.

მეხილეობის რაიონების ადგილობრივი საბჭოების პირდაპირი მოვალეობაა ფართოდ გააჩაღონ მუშაობა სოფლად ხილის წარმატებით დამზადებისათვის. საბჭოები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, დამამზადებელ ორგანიზაციებს უშუალოდ უნდა ხელმძღვანელობდნენ ხილის კრეფის, გადაზიდვის, ჩამბარების, გადამუშავების საქმეში, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მოსახლეობას, რათა წელს სახელმწიფოს მიეყიდოს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ხილი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკაში ხილის დამზადების ჯერ კიდევ გამოუყენებელი დიდი რეზერვებია. ჩვენი დამამზადებელი ორგანიზაციები ხილის მოსავლის მხოლოდ 30-35 პროცენტს ამზადებენ, დანარჩენ ხილს კი კოლმეურნეობები და კოლმეურნეები სხვადასხვა ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებზე ყიდიან. ეს ერთი მხრივ იწვევს კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის შესუსტებას, რადგან კოლმეურნეები დიდი ხნით ტოვებენ სამუშაოს თავიანთი ხილის შორეულ ბაზრებზე რეალიზაციისათვის, და მეორე მხრივ, გადამყიდველებს ეძლევათ სპეკულაციის საშუალება. მეხილეობის სოფლებში ცოტანი როდი არიან ისეთი პირები, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან ხილით.

ვინ უნდა შექმნას სოფლებში ასეთი ადამიანების საქციელისადმი შეუწყნარებლობის საზოგადოებრივი აზრი, თუ არა სასოფლო საბჭოებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა? მაგრამ ზოგან სასოფლო საბჭოები ამგვარი მახინჯი მოვლენების მიმართ წაყრუებას იჩენენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი სასოფლო საბჭო თვითონ აძლევს ცალკეულ პირებს მოწმობებსა და ცნობებს რესპუბლიკის გარეთ ხილის გატანისა და გაყიდვისათვის.

საჭიროა სასოფლო, სადაბო საბჭოებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა ხელიხელჩაკიდებულად იმუშაონ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მთელი შრომითი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, აღკვეთონ სოფლად ხილით სპეკულაციის ყოველი ცდა.

ყურძნის მოსავლის დროულად აღება, მისი ჩამბარება და გადამუშავება ახლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. წელს მეტად არახელსაყრელი ამინდების გამო მევენახეობის ზოგიერთ რაიონში ყურძნის მოსავლიანობა დაბალია. მაგრამ რესპუბლიკაში არის იმის რეალური შესაძლებლობა, გვაქვს ყურძნის ისეთი რესურსები, რომ შეიძლება ჩვენი მევენახეების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად მზადდება ყურძნის მთლიანი მოსავლის მხოლოდ 50 პროცენტი. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ საკარმიდამო ნაკვეთებიდან დამზადებული ყურძნის ზვედრითი წონა 31 პროცენტს არ აღემატება. ეს ციფრები იმაზე მეტყველებენ, თუ რა დიდი რეზერვებია რესპუბლიკაში ყურძნის დამზადების ვალდებულებათა შესასრულებლად.

სწორედ ამიტომ მევენახეობის რაიონების ადგილობრივმა საბჭოებმა პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ისე უნდა წარმართონ მუშაობა, რომ დროულად და უდანაკარგოდ აღებულ იქნას ყურძნის მოსავალი, კოლმეურნეობებმა ყურძნის მთელი მოსავალი სახელმწიფოს მიჰყიდონ, ხოლო კოლმეურნეებმა და მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებიდან აღებული ყურძნის სასაქონლო ნაწილი მთლიანად სახელმწიფოს ჩაბარონ.

ღვინის ქარხნების და ყურძნის დამამზადებელი პუნქტების მუშაკთა ამოცანას შეადგენს უზრუნველყონ ყურძნის დროულად და შეუფერხებლად მიღება-გადამუშავება. მათ არ უნდა დაუშვან გასული წლის სერიოზული ნაკლოვანებანი, როდესაც ყურძნის მიღების გაჭიანურების შედეგად პროდუქციის ხარისხი უარესდებოდა და ადგილი ჰქონდა ყურძნის დანაკარგებს. მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ არცერთ მიმღებ პუნქტში არ შეფერხდეს ყურძნის მიღება-გადამუშავება. მათ ამისათვის სახელმწიფომ ყველა პირობა შეუქმნა. საკმაოა ითქვას, რომ სამტრესტის სისტემის ყურძნის გადამამუშავებელი ტექნიკური ბაზა წელს 1959 წელთან შედარებით 27 ათასი ტონით გაიზარდა.

საქართველოს მშრომელები, მთელი საზოგადოებრივობა შრომითი ენთუზიაზმით ემზადებიან ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის დაარსების 40 წლისთავის ზეიმისათვის. სოფლად და ქალაქად გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განუწყვეტლივ მოდის ადგილებიდან სასიხარულო ცნობები იმის შესახებ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმები და ვალდებულებები რამდენიმე თვით ადრე სრულდება. სახელოვანმა ქართველმა მეჩაიეებმა უკვე პირნათლად გაანადგეს ნაკისრი ვალდებულება, მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 146 ათას ტონაზე მეტი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 138 ათასი ტონისა. ამჟამად ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ ნაკისრი ვალდებულების ზეგით მოკრიფონ ჩაი.

სასიხარულოა, რომ პირველი სექტემბრისათვის რესპუბლიკის მეცხოველეებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა. რესპუბლიკაში კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა შესრულებულია 151 პროცენტით, ასევე გადაჭარბებით შესრულდა დაფნის ფოთლის დამზადების გეგმა.

ეს შრომითი წარმატებები შემთხვევითი როდია. კომუნისტური პარტიის დიად იდეებზე აღზრდილი საბჭოთა ადამიანებისათვის ლაღი, თავისუფალი, სოციალისტური შრომა დიდი ხანია ღირსებისა და დიდების საგნად იქცა.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე მძლავრი, ჭეშმარიტად პატრიოტული შემოქმედებითი შრომა ჩქეფს. ყველას სურს შრომითი საჩუქრებით შეხვდეს ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს, საკუთარი წვლილი შეიტანოს სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების დიად საქმეში.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა საქმე ისე უნდა წარმართონ, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ წარმატებით შეასრულოს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებანი.

ჯიათურა. პირველი საწარმოო უბანი ყველაზე მოწინავეა დიმიტროვის სახელობის მაღაროში. ამ უბნის კოლექტივს თავდადებული შრომით თვალსაჩინო წვლილი შეაქვს რესპუბლიკურ ფონდში.

სურათზე: უბნის გამგე ჯ. ჯაფარიძე (მარჯვნივ) დავალებას აძლევს დისპეტჩერ ვ. აბრამიძეს და მებიგე ბ. ჩაბრაძეს.

ფოტო ა. მაჭავარიანისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ეკონომიური ეფექტი

რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა ფართოდ გაანალეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეორე წლის დასკვნათა ვადადე შესრულებისათვის, უკეთესი ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის.

თავდადებულმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. რესპუბლიკის საწარმოებმა რვა თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათასობით ტონა ფოლადი, თუჯი, მარგანეცი, დიდკალი მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5 პროცენტით, გაუმჯობესდა მოკვეთილ სიმღლეთა გამოყენება, მინიმუმამდე დავიდა ინ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ, მნიშვნელოვნად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. შემცირდა მისი თვითღირებულება. ყოველივე ამის შედეგად რესპუბლიკის საწარმოებმა მიმდინარე წლის 7 თვეში სამშობლოს მისცეს 70 მილიონი მანეთი ზეგებგმითი მოგება.

რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გააუმჯობესონ ეკონომიური მაჩვენებლები, ათმაღლონ პროდუქციის ხარისხი.

დაპირება შესრულებულია

ჟუთაისი. (საკ. კორ.). მინის ტარის ქარხნის კოლექტივი, რომელიც კიეველ და ტარასპოლელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, წარმატებას წარმატებაზე აღწევს. ქარხანამ ვადამდე შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება და საკონსერვო მრეწველობას გეგმის გადამეტებით მისცა 6 მილიონი ცალი მინის ქილა.

ძირითადი საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად, კერძოდ, ღუმელში ალის გადაყვანის ავტომატიზაციით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მინის ხარშვის ტექნოლოგიური პროცესი და პროდუქციის ხარისხი, შემცირდა მისი თვითღირებულება. წარმოების ყველა უბანზე გაწევილი ეკონომიის გზით ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და მთელი წლისათვის გათვალისწინებული 450.000 მანეთის ნაცვლად შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში უკვე შეიტანა 491.000 მანეთი.

ფართოდ გააჩაღა რა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება, ქარხნის კოლექტივმა გადაწყვეტა ვადაზე ორი კვირით ადრე გაანაღდოს ვხრა თვის დავალება.

△ **რესპუბლიკის საწარმოებმა 7 თვეში მიიღეს 70 მილიონი ეკონომია.** △ **რუსთავის მეტალურგებმა 9.300 ათასი მანეთით გაამდიდრეს რესპუბლიკური ფონდი.** △ **ჟუთაისელებმა პირობა გაანაღდეს — დაზოგეს 491 ათასი მანეთი.**

ვეტერანები ეჯიბრებიან

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა პარტიის XXI ყრილობის შემდეგ ძირითადად გარდაქმნა მუშაობა და გეგმას სრული მეტალურგიული ციკლით სრულებს. სამშობლოს გეგმის გადამეტებით აძლევს ათასობით ტონა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს.

მეტალურგიულ ქარხნებს შორის აქ პირველად დაინერგა მონლაბზადის ცეცხლით გაწმენდა. ამ ახალმა მეთოდმა მკვეთრად შეამსუბუქა მუშის შრომა, ამაღლება პროდუქციის ხარისხი. საწარმოს კოლექტივი მარტო ამ ღონისძიების დანერგვით წლიურად მიიღებს 5 მილიონ მანეთ ეკონომიას.

მილსაგლინავ დანადგარებზე მეტად მცირე და შრომატევადი პროცესი იყო სამართულების გამოცვლა დგანზე. ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებმა დაამუშავეს და დგან „400“-ზე დანერგეს უცელი წყლით გამაცივებელი სამართული, ხოლო დგან „140“-ზე ნაჭედი სამართული. ამან დიდად შეამსუბუქა მეალეცვების შრომა, გაიზარდა დგანების წარმადობა, რაც საწარმოს დიდ ეკონომიას აძლევს.

დგან „400“-ზე მექანიზმები გადაყვანილია ავტომატურ მართვაზე. ავტომატიზებულია 153 მექანიზმი. ამ უბანზე ათი ათასზე მეტი ოპერაცია სრულდება ავტომატურად, ტექნოლოგიის ზუსტად დაცვით.

დიდი ღონისძიებები ტარდება პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად. ამის წინათ აქ ღუმელები გადაიყვანეს ბუნებრივ აზოტის საწვავზე, ამან გადიდა ღუმელების წარმადობა, გაიზარდა ეკონომიური ეფექტი, მკვეთრად გაუმჯობესდა თუჯის ხარისხი. ღუმელებში კაზმის ოდენობის განსაზღვრა ჯერ კიდევ პრიმიტიული მოკლე დროში ამ საქმეს ზუსტად სრულყოფილად მანქანები შეასრულებენ.

ამ და სხვა ტექნიკური ღონისძიებების დანერგვით საწარმო დიდი რაოდენობით ზოგავს ელექტროენერგიას, საწვავს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. ყოველივე ამის შედეგად წარმოების კოლექტივმა შვიდწლედის მეორე წლის პირველი ნახევრის დავალება მთელი მეტალურგიული ციკლით შეასრულა, მკვეთრად გაუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებელი და ზეგებგმით დაგროვებიდან შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 9.300 ათასი მანეთი.

წარმოების კოლექტივი წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნოს დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი და საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის.

მათი წვლილი

ფოთის ნავსაგდგურის ცენტრალური სარემონტო-მექანიკური სახელოსნოს რაციონალიზატორები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. სახელოსნოს ოსტატი გორგი შეზოცავი რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. წელს მან შეიმუშავა ამწის გრეიფერის საკეთებელ მოქმედი ნაწილის გაცვეთის თავიდან აცილების ახალი საშუალება. მან წამოაყენა წინადადება გადაბრუნებულ ლენსაკეთო არამოქმედი ნაწილის განმოქლნვით. ამით ამწის მუშაობის ვადა იზრდება ორჯერ და მეტად. ამ წინადადებამ დანერგვით წარმოება მიიღებს 6.500 მანეთ ეკონომიას.

ტვირთების მექანიზებულად გადამეტვისათვის პორტალური ამწეების უკეთ გამოყენების ახალი ხერხი ერთობლივად შეიმუშავეს მექანიზაციის უფროსმა ი. სმელიანსკიმ და პირველი საწყობო რაიონის უფროსის თანაშემწემ მ. ცეკვავამ. ასევე მეტად ეფექტური ინჟინერების ა. პროკეკოს, ა. ბაკის, ოსტატის ბ. ბელოვის, კავშირგაბმულობის უფროსის ვ. კრასუკოვის და სხვათა რაციონალიზატორული წინადადებანი. სულ წლის პირველ ნახევარში ნავსადგურის რაციონალიზატორებმა შეიმუშავეს 23 წინადადება, აქედან წარმოებაში დაინერგა 17, რომელთა საერთო ეკონომიური ეფექტი 89,991 მანეთს შეადგენს.

კ. კომაპანიძე.

ჯილდო მეღვინეებს

თელავი. თელავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა-ღვინის ქარხანა ყოველ წელს მონაწილეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს კომიტეტმა თელავის ღვინის ქარხანას მიაკუთვნა მესამე ხარისხის დიპლომი, საბჭოთა მეურნეობა-ღვინის ქარხნის მეღვინე ნ. ი. ბარტაძეს — ვერცხლის medalia და ხალიჩა, ღვინის ქარხნის შუბს ლ. ვ. ტკაჩენკოს, მ. ა. მსუქნიშვილსა და ე. გ. ზაზაშვილს — ბრინჯაოს მედლები და მაჯის საათები.

ჯილდოს პასუხად თელავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა-ღვინის ქარხნის კოლექტივმა გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

(საქდესი).

საგჭოთა არმიას —ღირსეული ცვლა

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესაბამისად დაიწყო მორიგი გაწვევა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში და იმ ჯარისკაცების, მატროსების, სერჟანტებისა და ზემდგომების დათხოვნა, რომლებმაც მოიხადეს კანონით დაწესებული ვადის ნამდვილი სამხედრო სამსახური.

ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში გაწვეული იქნებიან 1941 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ შეღავათისა და გაწვევის გადავადების უფლება, აგრეთვე გასაწვევ ასაკთა მოქალაქენი, რომლებსაც გუთავდათ გაწვევის გადავადება და რომელთა ტოლები გადიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს.

საბჭოთა არმიაში გაწვევა მუდამ იყო და არის ჩვენი ხალხის ყურადღების ცენტრში. ჩვენი ქვეყნის მშრომელები არმიასა და ფლოტში გზავნიან თავიანთ რჩეულ შვილებს, რომლებსაც უნარი შესწევთ სწრაფად და ზედმიწევნით დაეუფლონ პირველხარისხოვან საბრძოლო იარაღსა და ტექნიკას.

ბევრი ქართველი ჯარისკაცი, მატროსი, სერჟანტი და ზემდგომი, ჩვენი მოძმე ხალხების შვილებთან ერთად, იხდის ამჟამად საპატიო სამხედრო სამსახურს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში. მათ ყოველთვის მაღლა უჭირავთ ძლევამოსილი საბჭოთა არმიის მეომრის ღირსება და სახელი. ნ ქვეგანაყოფში დიდი სიყვარულით სარგებლობენ უმაღლესი კლასის სპეციალისტები, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები ი. მესხიშვილი, ნ. აბაკელია, რ. ნიკოლაიშვილი, რომლებიც დაჯილდოებული არიან „საბჭოთა არმიის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით. მათი სასახელო საქმეები ყველა გასაწვევი ახალგაზრდისათვის იმის შთამაგონებელი მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო დედა-სამშობლოს, როგორ უნდა დაიცვა შენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

ახალგაზრდობის მაღალ პატრიოტულ თაოსნობაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებსაც ისინი გზავნიან სამხედრო კომისარიატებისა და გამწვევი კომისიების სახელზე. აი ძმების ძიძარიების წერილი.

— სიხარულით შევიტყეთ ცნობა მორიგი გაწვევის შესახებ, — წერენ ისინი. — და ჩვენც მზადა ვართ შეასრულოთ სამტალი სამხედრო სამსახური. მივიღეთ საშუალო განათლება, ვისწავლეთ ავტომანქანის მართვაც. აქედან მძღოლად ვმუშაობთ, კარგად ვიცნობთ ტექნიკას. ვიცით, რომ მშობლიური საბჭოთა არმია კომუნიზმის შესანიშნავი სკოლაა, სადაც საბჭოთა ახალგაზრდა ეუფლება არა მარტო საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, არამედ ამასთან ერთად იძენს ცოდნას, კულტურას, ცხოვრების გამოცდილებას. გთხოვთ ორთაოვნენ გაგვიწვიოთ და ჩაგვრიცხოთ ერთ ნაწილში.

ასეთი წერილები მეტყველებენ ჩვენი ახალგაზრდობის მაღალ პოლიტიკურ სიმწიფეზე, იმაზე, რომ მას კარგად აქვს შეგებული არმიაში სამსახურის მთელი აზრი და მნიშვნელობა.

წელს გაწვევა ორგანიზებულად დაიწყო. მას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა.

სამხედრო კომისარიატებმა და მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა წვევამდელებთან გააჩაღეს ფართო პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა. ლექცია-მოხსენებებში, საუბრებსა და თემატურ საღამოებში წვევამდელებს განემარტათ საბჭოთა შეიარაღებული ძალების კეთილშობილური მიზნები და ამოცანები

საერთაშორისო
დეკანოზები, ცნობილები, ეიმოსნიდვა
ცხოვრება

გაგრძელდა ნაბიჯი, დიდი იმედი

*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების უხეირო აქცია

*

გაასამართლებენ თურქეთის ყოფილ ხელმძღვანელებს

ფაქტი ყოველგვარ სიტყვაზე უფრო მეტყველია

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იუწყება: დღეს ნიუ-იორკის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს მოსკოვიდან და კალინინგრადიდან მიღებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი გამოემგზავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ პირველ გვერდზე ათავსებს ფოტოსურათს — საბჭოთა მთავრობის მეთაური ეთხოვება თავის გამცილებელ პირებს ვნუკოვოს აეროდრომზე. „ირსებული ცნობებით, — წერს ამ გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტი კარუზერსი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პრემიერი ხრუშჩოვი დაინტერესდება უწინარეს ყოვლისა მიაღწიოს საყოველთაო განიარაღების შესახებ საბჭოთა წინადადებების მიღებას“.

ის კანონიერი ვარაუდი, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობის განმტკიცებასა და ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, და რომელთაც მხურვალედ მოიწონებს მსოფლიო საზოგადოებრიობა, მოსვენებას არ აძლევს იმ პირველ მოღვაწეებს, რომლებიც ემხრობიან გამაღებული შეიარაღების განგრძობას. გამოხატავს რა ამ განწყობილებას, ჟურნალი „ბიზნეს უკი“ საერთაშორისო მიმოხილვაში შეშფოთებით წერს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი ალბათ წამოაყენებს ახალ წინადადებებს განიარაღების შესახებ. შესაძლოა, იგი გამოაცხადებს აფრიკისათვის უდიდესი დახმარების ახალ პროგრამას. კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანია ის, რომ ხრუშჩოვის წინადადებებმა, რომლებმაც მთელ მსოფლიოს ჩაუნერგა განიარაღების იმედი და ეკონომიური განვითარების უფრო სწრაფი ტემპი, შეიძლება კიდევ უფრო დიდი ზეგავლენა მოახდინონ დასავლეთზე და აიძულონ იგი დათმობაზე წავიდეს“...

ყოველდღე ამერიკის გაზეთები აქვეყნებენ მასალებს, რომლებიც მიძღვნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში საბჭოთა მთავრობის მეთაურისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა მომავალი მონაწილეობისადმი. ეს ფაქტი ყოველგვარ სიტყვაზე უკეთ მეტყველებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეების მოწოდებანი — უგულებელყონ და ძირამდე სოციალისტური ქვეყნების ახალი სამშვიდობო ინიციატივა — მარცხს განიცდის ამერიკის საზოგადოებრიობის ზემოქმედებით.

ამავე დროს პრესაში სულ უფრო მკაფიოდ გაისმის გენერალური ასამბლეის მომავალი სესიის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნეგატიური პოზიციის დაგმობის ხმები. ბევრი სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განზრახვა — მონაწილეობა არ მიიღოს სესიაზე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების კონსტრუქციულ განხილვაში, კიდევ უფრო შეარყევს უკანასკნელ დროს ისედაც მეტისმეტად დაცვეულ ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟს. „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს: „გვინდა თუ არ გვინდა, ხრუშჩოვი მოდის, და ჩვენთვის უკეთესი იყო მოვამზადებულიყავით, რათა პოზიტიურად გამოგვეჭვა ჩვენი ქვეყნის შეხედულებანი და მიზნები“. გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“ სარედაქციო სტატიაში — „დროა ვიმოქმედოთ“ უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შეერთებულ შტატებს არ გააჩნია ინიციატივა საერთაშორისო საქმეებში.

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ჟურნალმა „ედიტორ ენდ პაბლიშერმა“ მთელ რიგ ამერიკელ კორესპონდენტებს სთხოვა გამოთქვან თავიანთი აზრი ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი რეაქციული წრეების იმ წინადადების შესახებ; რომ „დუმილით აუარონ გვერდი ნ. ს. ხრუშჩოვს შეერთებულ შტატებში ყოფნას“. 14-ვე გამოკითხულმა კორესპონდენტმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვა ამ წინადადებისადმი“.

მ. ოგდემ (გაზეთი „ჯორნელი“, რომელიც გამოდის ქ. პროვიდენსში) უპასუხა: ერთი სიტყვით „სასაცილოა“. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტმა ტ. კიტლჯმა განაცხადა: „ბ-ნ ხრუშჩოვის ვიზიტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ჩვენი აზრით, დიდმნიშვნელოვანი ახალი ამბავია. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ეცდება, საუკეთესოდ გააშუქოს იგი“. უ. ლომოემ (გაზეთი „ჯორნელი, რომელიც გამოდის მილუოკიში) „სულელური და საშიში“ უწოდა წინადადებას. „ახალი ამბავი ახალი ამბავია, — განაცხადა მან. — ხრუშჩოვის ვიზიტი ისტორიის კიდევ ერთი მონაკვეთი იქნება“. რ. ნოტსონმა (გაზეთი „ნორტლენდ ორეგონიანი“) უთხრა „ედიტორ ენდ პაბლიშერის“ კორესპონდენტს, რომ ამერიკის პრესამ უნდა გააშუქოს ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიუხედავად იმისა, მოსწონს ვინმეს იგი თუ არა, „მისი ვიზიტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, — თქვა მან, — უდიდეს ინტერესს იწვევს“.

ინტერვიუ 14 კორესპონდენტთან გამოქვეყნებულია ჟურნალში საერთო სათაურით „წინადადებას იმის შესახებ, რომ „დუმილით უგულებელყონ“ ხრუშჩოვის ვიზიტი სასაცილოს უწოდებენ“.

ინფორმაციისთვის

იაპონელი ფილოსოფოსი კომპარტიაში შევიდა

გაზეთი „აკახატა“ იუწყება, რომ იაპონიის კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ფილოსოფიის პროფესორი კენჭიიუო იანაგიდა.

ქ. იანაგიდა თავის თავზე წერს, რომ მრავალი წლის განმავლობაში იდგა იდეალიზმის პოზიციებზე, მაგრამ იაპონელი საზოგადოების ცხოვრებაში და საერთაშორისო ასპარეზზე უდიდეს ცვლილებათა გავლენით თანდათანობით მივიდა მარქსისტულ მსოფლმხედველობამდე. ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისთვის იაპონელმა ფილოსოფოსმა დაწერა ამ თარიღისადმი მიძღვნილი შრომა.

განცხადებაში პარტიაში შესვლის შესახებ იანაგიდა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტია არის მოწინავე ავანგარდი საზოგადოების სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

გრიგალი ამერიკაში

როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი მიაჩნიათ (ფლორიდის შტატი) იუწყება, გრიგალმა „დონამ“ — ყველაზე ძლიერმა საუკუნეში — გაძლიერებული სიჩქარით გადაუარა ატლანტიკის ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთს და ფლორიდა უბედურების ზონად გადააქცია.

მიღებული ცნობებით, რვა კაცი დაიღუპა და ორი უკვალოდ დაკარგა. გრიგალმა გაანადგურა ციტრუსოვანთა წარმოების 8 მთავარი რაიონი — პოლკი, ორანჯი და ლეიკი. ფიქრობენ, რომ ციტრუსოვანთა მოსავალი, რომელსაც 250 მილიონ დოლარად აფასებენ, 50-80 პროცენტით დაზარალდა. წითელი ჯვრის შეფასებით დაზარალდა ან დაინგრა 2.182 სახლი.

ჩეხოსლოვაკური თვალგეჭდილებანი

ერთი თვე ფრიად მცირეა ქვეყნის გასაცნობად, მაგრამ ეს დრო რამდენადმე მაინც საკმარისი აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიაში არსებული ზოგიერთი ჟირსშესანიშნაობის დასამახსოვრებლად.

მშვიდი, უხმაურო ქუჩები. აუჩქარებელი სიარული. დინჯი, ალერსიანი, ხმადაბალი ლაპარაკი. მხოლოდ გზაჯვარედინებზე შეგხვდებათ მოძრაობის მომწესრიგებელი მილიციელი. სხვაგან ის შეუმჩნეველია.

ხშირად ხვდებით სახლის კედელზე მიკრულ თაროს ახალი გაზეთებით. იქვე არსებულ ყუთაბაში საჭირო ფული უნდა ჩაუშვათ. ასე უფრო ადვილი და სახელდახელოა გაზეთების შეძენა.

უნაკლოდ დასუფთავებულ ქუჩაში რვაცხრა წლის გოგონას ქაღალდის ნაჭერი დაუვარდა, მაშინვე დასწვდა ძირს დავარდნილ ქაღალდს და სანაგვე ყუთში ჩააგდო. ეს ჩვეულებრივია და ამიტომ სრულიად არ გიკვირთ სანიმუშო სანიტარული წესრიგი.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ქალაქია. მრავალი არქიტექტურული ძეგლი, უმთავრესად გოტიკური სტილის ნაგებობანი პრაღასა და ჩეხოსლოვაკიას თავისებურ ელფერს აძლევს. ამჟამად სახალხო-დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში ახალი საამშენებლო ტექნიკისა და ეროვნული არქიტექტურული მემკვიდრეობის გამოყენებით მნიშვნელოვანი მშენებლობა წარმოებს.

მეცხრე-მეათე და მომდევნო საუკუნეების გრანდიოზული არქიტექტურული ძეგლების დათვალიერება ამ ქვეყნის მდიდარ კულტურულ წარსულზე მეტყველებს. უკანასკნელი წლების ერთ-ერთი საყურადღებო ნაგებობაა ვიტკოვის მთაზე აღმართული კლიმენტ გოტვალდის მავზოლეუმი. გოტვალდის თითქოს მძინარე ცხედარს ქვის ვეება გვირგვინი ამშვენებს. აქვეა ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილ პირთა სავანე.

ხალხის მწყობრი რიგის წინ მდგარი ქვაში გამოკვეთილი სტალინის ფიგურა პრაღის ყოველი კუთხიდან ჩანს.

ათვალიერებთ ლენინის სახელობის მუზეუმს, სადაც 1912 წლის იანვარში შედგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პრაღის მეექვსე კონფერენცია და სავსებით ბუნებრივად გეჩვენებათ, რომ 1945 წლის 9 მაისს სწორედ საბჭოთა არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ეს ქალაქი გერმანელი ფაშისტებისაგან.

სათუთად უვლიან ამ დღეს გმირულად დაღუპული სამას ოცდათხუთმეტი საბჭოთა მებრძოლის ძმათა სასაფლაოს. ყოველ სასაფლაოს ლამაზი ძეგლი და სათანადო წარწერა აქვს. ზოგიერთის ვინაობა კი „უცნობი მებრძოლის“ საპატიო ფსევდონიმით არის აღნიშნული.

გამარჯვების დღეს დაღუპულთა განსვენების ადგილს მნახველები თაიგულებით ამკობენ.

სხვებთან ერთად, იქ ორი ქართველის სახაფთაო. ორივე 1922 წელს დაბადებული, ორივეს მამას სერგო რქმევია. ერთი არის გვარდიის ლეიტენანტი აბესალომ ნამგალაური და მეორე — რიგითი პეტრე დოლიძე.

მათი საფლავი გვირგვინით შეგამკეთ.

ეს ადგილია. ჩეხოსლოვაკიაში ხომ ვარდ-ყვავილები ამშვენებს ქუჩებს, მოედნებს, ხიდებს, ყოველი სახლის აივანსა და ფანჯარას.

აქ ალბათ ღამითაც სურთ დატკბნენ ვარდ-ყვავილების სანახაობით. მართლაც, კარლოვი ვარის პატარა მდინარე ტეპლაზე მრავალი ხიდის ქვემოდან მარაოსავით გაშლილი ფერადი ელექტრონათურებით გაშუქებული შადრევნები „ლამის ცისარტყელას“ ქმნის და ნიავით მოშრიალე ცოცხალი ყვავილების თაიგულს ხატავს.

ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტი კარლოვი ვარი პრაღიდან 125 კილომეტრზეა. უმჯობესია მანქანით იმოგზაუროთ — სოფლებს გაეცნობით, ნამდვილად ქალაქის ტიპის სოფლებს.

მოასფალტებული გზა მოსახვევებსა და დაღმართებში საგანგებოდ შერჩეულ ქვებით არის მოკირწყლული. გზის, ტელეგრაფის ბოძების და ხეების ფოსფორირებული ლაქები სიბნელეში თვალსაჩინოდ ბრწყინავს და აადვილებს ღამით სადმი, რომლის გამარჯვებამ სამამულო ომში მთელი ჩეხოსლოვაკია სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დააყენა და კარლოვი ვარიც სახალხო კურორტად გარდაქმნა.

მრავალი ქვეყნიდან მოსულ, კეთილმოწყობილ სანატორიუმებში მყოფ ავადმყოფთა მკურნალობის კარგი შედეგები უწინარეს ყოვლისა მინერალური წყლის ფვიანებებს მიეწერება. მაგრამ მკურნალობის კომპლექსში ფრიად მნიშვნელოვანია ავადმყოფთა მომსახურების მაღალი კულტურა და მთელი გარემო პირობები. აქ ყოველგვარ ყოფითი ხასიათის წვრილმანს ექცევა საჭირო ყურადღება. ამას გარდა, შეიძლება იმაზეც კი მიუთითოთ, რომ მდინარე ტეპლაში გაშენებულია ხელუხლებელი ცოცხალი ფონდი „მოშინაურებული“ თევზების სახით. მრავალი ჯიშის თევზთა შორის კალმახიც მოიპოვება. გამჭვირვალე წყალში მყოფი თევზები უმთავრესად ხიდებთან იყრიან თავს და გამვლელების მიერ მიწოდებულ საკვებს ამორჩევით მიირთმევენ. ეს დამსვენებელთა ერთ-ერთ გართობას წარმოადგენს.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა სოციალიზმის მშენებლობის ფართო გზაზე დგას. მშრომელი ხალხი თავისი ქვეყნის სოციალისტური განვითარების ერთგული, მუყაითი შემოქმედია.

პროფ. ა. მინდაძე.

1960 წლის სექტემბერი.

• • •

სურათებზე: კარლოვი ვარი. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კოლონადა (ზევით). სანატორიუმ „იმპერიალის“ ხედი „ირმის ნახტომიდან“.

მოგზაურის დღიურიდან

საბჭოთა დელეგაცია ვიეტნამში

ჰანოი, 11 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტთან ხო ში მინთან ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა დელეგაცია და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. შეხვედრაზე ვიეტნამის მხრივ იყვნენ ხო ში მინი, ფამ ვან დონგი, ჩიონგ ტინი, ვო ნგუენ ზიაპი, ნგუენ ზუი ჩინი, ფამ ხუნგი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი მოსკოვში ნგუენ ვან კინი. საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ნ. ა. მუხიტდინოვი, ს. ა. თოიმასიანი, კ. ნ. გრიშინი და სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ლ. ი. სოკოლოვი.

ჰანოი, 12 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჰანოიდან სამშობლოში გაფრინდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ა. მუხიტდინოვის მეთაურობით.

დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ზეიმში, რომელიც მიეძღვნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 15 წლისთავს და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის III ყრილობის მუშაობაში.

დარბაზობა ჰანოიში

ჰანოი, 12 სექტემბერი. (საკდესი). ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 11 სექტემბერს საღამოს რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართა დარბაზობა მომმე პარტიების დელეგაციების პატივსაცემად, რომლებიც ვიეტნამის მშრომელთა პარტიის მესამე ყრილობას დაესწრნენ.

დარბაზობაზე იყვნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ხო ში მინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები. დარბაზობაზე გამოსულმა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ხო ში მინმა მოძმე პარტიების დელეგაციებს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ჩამოვიდნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის მესამე ყრილობაზე.

დარბაზობაზე იყვნენ 11 სოციალისტური ქვეყნის — საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, ალბანეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, მონღოლეთის, რუმინეთის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის მოძმე პარტიების დელეგაციები, ინდოეთისა და ინდონეზიის კომუნისტური პარტიების დელეგაციები, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია მექსიკაში ჩავიდა

მეხიკო, 10 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ მექსიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 150 წლისთავის ზეიმში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნ. ოროანოვი მეთაურობს.

მენდერესი და გაიარი სასამართლოს წინაშე წარდგებიან

ანკარა, 11 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ონჯიუ“ იუწყება, გადაწყდა, რომ ამა წლის 10 ოქტომბერს კუნძულ იასი-ადაზე დაიწყოს 27 მაისს ხელისუფლებიდან გადაყენებულ თურქეთის ყოფილ ხელმძღვანელთა, მათ შორის პრეზიდენტ ბაიარის, პრემიერ-მინისტრ მენდერესის, ყოფილი მთავრობის წევრებისა და დემოკრატიული პარტიის წევრი მეჯლისის დეპუტატების სასამართლო პროცესი.

ბაქოთა დელეგაცია ვიეტნამში

საუბარში შეეხნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხებს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს.

წინადღით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია საბჭოთა დელეგაციას ეწვია მის რეზიდენციაში. დელეგაციებს შორის გაიმართა აზრთა გაზიარება მთელ რიგ საკითხებზე.

ჰანოი. 12 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჰანოიდან სამშობლოში გაფრინდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ა. მუხიტდინოვის მეთაურობით.

დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ზეიმში, რომელიც მიეძღვნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 15 წლისთავს და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის III ყრილობის მუშაობაში.

ლაოსის ამბები

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს ცნობით, გენერალ ფუმი ნოსავანის შტაბმა სამხრეთ ლაოსში გამოაცხადა, რომ შეიქმნა „რევოლუციური მთავრობა“, რომელსაც ნოსავანი და პრინცი ბოუნ ოუმი მეთაურობენ.

როგორც ჩანს უცხოეთის საააგენტოთა ცნობებიდან ლაოსის უკანასკნელი ამბების შესახებ, ლაოსის ნეიტრალიტეტის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა ამ პროვოკაციული ნაბიჯის მიზანია სამოქალაქო ომი ატეხონ ლაოსში და სეატოს სამხედრო ბლოკის მომხრეთა ბატონობა დაამყარონ.

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა „რევოლუცია“ უწოდა მთავრობას, რომელიც უკანონოდ შექმნეს პრინცმა ბოუნ ოუმმა და გენერალმა ნოსავანმა და რომელიც ეწინააღმდეგება სუვანა ფუმის კონსტიტუციურ მთავრობას. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში, რომელიც მოჰყავს ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს, ნათქვამია, რომ „ლაოსიდან მიღებული რადიოს ცნობებით, ამ ქვეყანაში დაიწყო რევოლუცია“.

პარიზი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საააგენტოს ცნობით, გენერალი ნოსავანი საუბრობს ამერიკის ზოგიერთი სპეციალური ორგანოს დახმარებით, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უფრო ნაკლებად აშკარა მხარდაჭერით.

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ლაოსის დასავლეთის საააგენტოთა აქ მიღებული ცნობებით, პრემიერ-მინისტრი სუვანა ფუმა დღეს ვიენტიანიდან ლუან-პრაბანში გაფრინდა ლაოსის მეფესთან შესახვედრად. გაფრენამდე მან მთელ ქვეყანაში შემოიღო საგანგებო წესები.

კომუნისტი
მე-3 გვერდი, სამშაბათი,
13 სექტემბერი, 1960 წ.

კოლონიზაციორები კონტრიერიუზე

ტუნისის წარმომადგენელმა შეიტანა ფორმალური წინადადება, რომ გადადოს საბჭოს სხდომა ორშაბათამდე. წინადადება საბჭომ მიიღო.

ლეოპოლდვილი, 11 სექტემბერი. (საკდესი). კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ 10 სექტემბერს გააკეთა შემდეგი განცხადება:

სავსებით ოფიციალურად უარვყოფ განცხადებებს, რომლებიც დღეს ნაშუადღევს გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა ბ-ნმა პოლ იანკუსკიმ. ამ განცხადებათა თანახმად:

1. დღეს დადებულია დაზავება კასაისა და კატანგაში შეთანხმების შედეგად, რომელიც მიღწეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და კონგოს რესპუბლიკის ცენტრალურ მთავრობას შორის.

2. კონგოს სამხედრო მოსამსახურეებს არ ეძლევათ ჯამაგირი ორი თვე. მთავრობას არ ჰქონია ამის გამო რაიმე საუბარი ლეოპოლდვილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

ამავე დროს მე ვადასტურებ, რომ სამხედრო მოსამსახურეებს მთავრობა რეგულარულად აძლევდა ჯამაგირს გასული თვის ბოლომდე. არ მიუცია მხოლოდ ის თანხა, რომელიც უნდა გადაეხადა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ცოტა ხნის წინათ არმიის კაღრეს გაუდიდდათ ხელფასი. ამ საკითხზე მთავრობამ ორი დღის წინათ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასის გაცემისათვის დახარჯოს 200 მილიონი ფრანკი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა უნდა მიმდინარეობდეს მთავრობისათვის ხელშეწყობის ფარგლებში, და არა იმ ფორმით, რომელიც თვითნებურად გამოიყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

ეროვნული არმიის ჯარები განაგრძობენ თავიან იპერაციებს კატანგაში, სადაც მათ მიაღწიეს დიდ წარმატებას, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხელი არ შეუშალა ... ეროვნული არმიის ... ბას ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

რომის ოლიმპიადიდან ცოცხალი ხმა

გამარჯვებული საბჭოთა ოლიმპიელები მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს

საქართველოს სპორტსმენებს — თერთმეტი საპრიზო ადგილი

მიტინგი ოლიმპიურ სოფელში

რომი, 12 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. ბაშმაჩნიკოვი გადმოგვცემს:

XVII ოლიმპიური ასპარეზობის დამთავრების გამო საბჭოთა სახპორტო დელეგაციამ ოლიმპიურ სოფელში გამართა მიტინგი, რომელზეც ერთსულოვნად მიღებულ იქნა წერილი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისადმი.

საბჭოთა სპორტსმენები სიხარულის გრძნობით აცნობებენ ნ. ს. ხრუშჩოვს თავიანთ წარმატებას რომის ოლიმპიადაზე, სადაც მათ დაიკავეს პირველი ადგილი არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, მნიშვნელოვნად გაუსწრეს რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ოლიმპიურ გუნდებს.

ალამი დაუშვეს

რომი, 11 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სტუმართმოყვარე და გახარებული რომი ეთხოვება თავის სტუმრებს — დედამიწის ხუთი კონტინენტის სპორტსმენებს, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიძლიერესა, სიმარჯვესა და ამტანობაში XVII ოლიმპიურ ასპარეზობაზე — ჩვენი დროის უდიდეს სპორტულ ასპარეზობაზე.

რომის ოლიმპიადის ოფიციალური დახურვის საზეიმო და ლამაზი ცერემონია გაიმართა დღეს საღამოს იტალიის დედაქალაქის უდიდეს სტადიონზე — „ფორო იტალიკოზე". ასი ათასზე მეტი მაყურებელი შეიკრიბა ოლიმპიური სტადიონის სადღესასწაულოდ მორთულ ტრიბუნებზე.

სტადიონის წდადამყრილ ბილიკზე ფანფართა ხმებში გამოდიან მედროშეები. ყოველ მათგანს ხელში უჭირავს თავისი ქვეყნის — ოლიმპიადის მონაწილის დროშა.

ტრადიციის მიხედვით დროშების პარადს იწყებს მედროშე, რომელსაც საბერძნეთის ალამი მოაქვს. ოვაციამ იგრიალა სტადიონზე, როცა ტრიბუნებს ჩაუარა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამმა. მაყურებლები მქუხარედ გამოხატავენ თავიანთ აღტაცებას ბრწყინვალე წარმატებებით, რომლებიც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს ოლიმპიადაზე.

მედროშეები ლამაზ ნახევარკალად დაეწყვნენ სტადიონის მწვანე ხალიჩაზე საპატიო ტრიბუნის წინ. ფანფარები ასრულებენ საბერძნეთის ჰიმნს, რომლის ხმებშიც მაღლა იფრიალდა საბერძნეთის—ოლიმპიური ასპარეზობის სამშობლოს დროშა. შემდეგ აღმართეს ალმები ახლანდელი ოლიმპიადის ორგანიზატორის იტალიისა და იაპონიისა, სადაც მოეწყობა 1964 წლის ოლიმპიადა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრანდეიჯი ტრიბუნაზე ავიდა და იტალიურ ენაზე დახურულად გამოაცხადა რომის ოლიმპიური ასპარეზობა.

სამხედრო ორკესტრმა, რომელიც მოთავსებულა ფიალის ორივე მხარეს, სადაც გიზგიზებს ოლიმპიური ცეცხლი, შეასრულა საზეიმო მარში, ეროვნული აკადემიის გუნდი „სანტა ჩეჩილია" ფანფართა ხმებში ასრულებს ოლიმპიურ ჰიმნს. ალი ოლიმპიური ცეცხლისა, რომელიც „ფორო იტალიკოზე" დღისით და ღამით ენთო მთელი შეჯიბრების დროს, ხელნელა ქრება. საზეიმო მელოდიის უკანასკნელ აკორდებთან ერთად იგი სულ მთლად ქრება, რათა ოთხი წლის შემდეგ შორეულ ტოკიოში კვლავ ავიზგიზდეს, როგორც მშვიდობისა და მეგობრობის, ამხანაგობისა და პატიოსანი სპორტული ბრძოლის სულისკვეთების სიმბოლო.

გაისმის მუსიკალური ნიშნები ოლიმპიური ასპარეზობისა. ფლაგშტოკზე ნელნელა ჩამოდის ძირს თეთრი ოლიმპიური დროშა, რომელზეც არის ხუთი გადახლართული რგოლი. მონტე მარიოს მთის კალთებზე გრიალებს გამოსათხოვარი სალუტის ქვემეხთა ზალპები.

საპატიო ესკორტი გამოკვეთილი ნაბიჯით ჩაუვლის ტრიბუნებს და თან მიაქვს სტადიონიდან დროშა, რომელიც სანამ ოლიმპიური ასპარეზობა გაიმართებოდეს ტოკიოში, შენახული იქნება რომის კაპიტოლიუმში. მედროშეებმა გამოთხოვების ნიშნად უკანასკნელად ჩამოუარეს ტრიბუნებს.

XVII ოლიმპიური ასპარეზობა დამთავრდა. იგი დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შორის ძმური კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

სპორტსმენთა შეგნებასა და გულს ღრმად ჩასწვდა ბრძნული სიტყვები, რომლებიც გამოთქმულია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებისადმი, რომ „ჩვენს დროში, როცა კაცობრიობის მთავარი საზრუნავია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, სპორტსმენებმა ღირსეული ადგილი უნდა დაიკავონ ამ კეთილმობილური ამოცანის გადაწყვეტაში".

საბჭოთა სპორტის ტრიუმფი

რომი, 12 სექტემბერი. (საკდესი). შეაფასა რა გუშინ დამთავრებული ოლიმპიადის შედეგები, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ნ. რომანოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

ოლიმპიური ასპარეზობა რომში იყო მთელი მსოფლიოს სპორტული ახალგაზრდობის გრანდიოზული დღესასწაული. ოლიმპიადის ცეცხლმა, რომელიც 16 დღეში აშუქებდა ხუთი კონტინენტის ახალგაზრდობის შეჯიბრებას, მათს გულში აანთო მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცების სურვილი. მეგობრობის ატმოსფეროს შექმნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის წერილს ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებისადმი. მისი სიტყვები, რომ „ჩვენს დროში, როცა კაცობრიობის მთავარი საზრუნავია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, სპორტსმენებმა ღირსეული ადგილი უნდა დაიკავონ ამ კეთილმობილური ამოცანის გადაწყვეტაში", უდიდესი აღფრთოვანებით იქნა მიღებული.

XVII ოლიმპიური ასპარეზობა მსოფლიო სპორტის ისტორიაში შევა, როგორც საბჭოთა სპორტსმენების ახალ შესანიშნავ გამარჯვებათა ფურცელი.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენები რომში წარმატებით გამოლიოდნენ ოლიმპიური პროგრამის მთელ კომპლექსში. ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობას იღებდნენ 21 სახეობიდან 19 სახეობის შეჯიბრებაში და ყველა სახეობაში, გარდაცურვისა, ოლიმპიური მედლები მოიპოვეს. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, როგორც ოთხი წლის წინათაც, საბჭოთა სპორტსმენები პირველ ადგილზე გამოვიდნენ. მათ მოაგროვეს 683 ქულა, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებმა, რომლებმაც მეორე ადგილი დაიკავეს, მოაგროვეს 463,5 ქულა. შედარებისათვის შეიძლება მოვიგონოთ, რომ წარსულ ოლიმპიურ ასპარეზობაში სსრ კავშირის სპორტსმენებს ჰქონდათ 622 ქულა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს 497 ქულა.

სსრ კავშირის სპორტსმენები გამარჯვებული გამოვიდნენ დაძაბული ბრძოლიდან, მათ მიიღეს 103 მედალი, აქედან 43 ოქროს, 29 ვერცხლისა და 31 ბრინჯაოს მედალი. მედლებითაც, ისე როგორც მელბურნის ოლიმპიადაში, ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა გაუსწრეს ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს.

საჭიროა უწინარეს ყოვლისა აღინიშნოს, ჩვენი შტანგისტების, ტანმოვარჯიშეების, მძლეოსნების, მოფარიკაველების, ნიჩბოსნების შესანიშნავი გამარჯვება რომში. იშვიათი სიმტკიცით, ფენომენალური შედეგებით მოიპოვა ოქროს მედალი ყველაზე ძლიერმა შტანგისტთა შორის იური ვლასოვმა. დიდი წარმატებით გაგვიხარეს შტანგისტებმა ევგენი მინაევმა, ვიქტორ ბუშუევმა, ალექსანდრე კურინოვმა, არკადი ვორობიოვმა. ოლიმპიადის ნამდვილი გმირია ტანმოვარჯიშე ბორის შახლინი. მან ერთმა მოიპოვა ოთხი ოქროს მედალი. უნდა გამოიყონ აგრეთვე რომში გამარჯვებული სპორტსმენები ვიქტორ კაპიტონოვი, პეტრე ბოლტნიკოვი, ვასილ რუდნიკოვი, რობერტ შავლაყაძე.

რომში კარგად გამოვიდნენ კლასიკური ჭიდაობის ოსტატები, მსროლელები, კალათბურთელები. საბჭოთა წყალბურთელებმა მელბურნის ბრინჯაოს მედლებს მიუმატეს ვერცხლის მედლები რომში, ოლიმპიადებში პირველად სრული ძალით ეჯიბრებოდნენ ჩვენი ველოსიპედისტები, საცხენოსნო და საიალქნო სპორტის ოსტატები.

ოლიმპიადის გმირებს, დასახელებულ სპორტსმენთა გარდა, უნდა მივაკუთვნოთ ვერა კრეპკინა, თამარ და ირინე პრესები, ლუდმილა შევცოვა, ვიქტორ ციბულნკო, ვიაჩესლავ ივანოვი, ვიქტორ ყდანოვიჩი, ივანე ბოგდანი, ოლეგ გრიგორიევი, ლარისა ლატინინა, სერგი ფილატოვი და ბევრი სხვა გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენი.

ამ დღეებში გამარჯვება უნდა მივულოცოთ მწვრთნელებსაც, რომლებმაც ესოდენ დიდი შრომა მოანდომეს საბჭოთა სპორტსმენების მომზადებას ოლიმპიური ასპარეზობისათვის.

საბჭოთა სპორტსმენებს იტალიაში ყველგან ისე ხვდებოდნენ, როგორც დიდ მეგობრებს. მათთან დამეგობრებას ესწრაფვოდნენ ხუთივე კონტინენტის სპორტსმენები.

ჩვენ დიდად გვახარებს უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის სპორტსმენთა წარმატება რომში. ოლიმპიადამ ცხადყო, რომ სოციალისტურ ქვეყნებში სპორტს, რომელიც ნამდვილი სახალხო გახდა, უაღრესად სიმედო პერსპექტივები აქვს.

XVII ოლიმპიური ასპარეზობა წარმატებით დამთავრდა და ღირსებისამებრ უნდა მიეძღვნას შეჯიბრების კარგ ორგანიზაციას. იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა შეასრულა. წარსული ოლიმპიური ასპარეზობით შეუძლია იამაყოს მთელმა იტალიელმა ხალხმა, რომელიც სპორტსმენები მხურვალედ მიიღო.

დასასრულ, თქვა ნ. ნ. რომანოვმა, მსურს ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე ყველა საბჭოთა სპორტსმენის სახელით მხურვალე სალამი გადავცე ძვირფას თანამემამულეებს და მადლობა გადავიხადო იმ გულთბილი მოლოცვებისათვის, რომლებსაც ყოველდღე ვიღებდით რომში, ვის ყურადღებასაც მუდამ ვგრძნობდით შორს სამშობლოდან.

მშვიდობა და მეგობრობა! — ასეთი დევიზით მიმდინარეობდა რომში XVII ოლიმპიური ასპარეზობა — თანამედროვეობის უდიდესი სპორტული შეჯიბრება. ამ სურათზე თქვენ ხედავთ, რა მხურვალედ ულოცავენ ერთმანეთს სპორტსმენები, რომლებმაც სამი პირველი ადგილი მოიპოვეს 10 ათას მეტრზე რბენაში. ცენტრშია ოლიმპიადის გმირი პ. ბოლოტნიკოვი (სსრ კავშირი), რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, მარცხნივ — ბ. ბროდოდოცი (გერმანიის გაერთიანებული გუნდი — მეორე ადგილი), მარჯვნივ — დ. პაუერი (ავსტრალია).

ოლიმპიური ჩემპიონი
იური ვლასოვი.

მედლები, ქულები

საბოლოო ცხრილი

მედლები

ქვეყნები	ოქროს	ვერცხლის	ბრინჯაოს	ქულათა რაოდენობა	ადგილი
სსრ კავშირი	43	29	31	683	I
ამერიკის შ. შ.	34	21	16	463,5	II
გერმანია	12	19	11	282,5	III
იტალია	13	11	12	232	IV
უნგრეთი	6	8	7	150,5	V
პოლონეთი	4	6	11	148	VI
იაპონია	4	7	7	147	VII
ავსტრალია	8	8	6	146	VIII
ინგლისი	2	6	12	135,5	IX
რუმინეთი	3	1	6	78,5	X

ქართველი სპორტსმენები ოლიმპიურ ასპარეზობაზე

ჩაპრა ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელიც დღე და ღამე გიზგიზებდა „ფორო იტალიკოში", რომის XVII ოლიმპიური ასპარეზობა დამთავრდა. ფართო კომენტარს უკეთებს რა სპორტის მსოფლიო დღესასწაულის შედეგებს, მთელი მსოფლიო პრესა აღნიშნავს საბჭოთა სპორტსმენების თვალსაჩინო წარმატებას, რომლებმაც საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ სპორტსმენთა შორის, რომლებმაც პრიზები დაიმახსოვრეს ოლიმპიადაზე, არიან საქართველოს წარმომადგენლები. ტიბრის ნაპირებზე სპორტულ ბრძოლაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის 17 სპორტსმენი და ბევრი მათგანი გამარჯვებული დაბრუნდა შინ.

ოქროს მედლები მოიპოვეს რომში მძლეოსანმა რობერტ შავლაყაძემ და კლასიკური სტილის მოჭიდავემ ავთანდილ ქორიძემ. განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტის შავლაყაძის წარმატებამ, რომელმაც დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი 2 მეტრი და 16 სანტიმეტრი. ეს იყო შესანიშნავი გამარჯვება, რომელიც მოიპოვა მან უძნელეს ბრძოლაში ისეთ მეტოქესთან, როგორიც არის მსოფლიო რეკორდსმენი ამერიკელი ჯონ თომასი — ფენომენალური შედეგის — 2 მეტრი და 22 სანტიმეტრი — მფლობელი.

თბილისელი მოჭიდავე ა. ქორიძე პირველად მონაწილეობდა ისეთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, როგორიც ოლიმპიური ასპარეზობაა. მიუხედავად ამისა, რომ მას არ ჰქონდა გამოცდილება, ფინალურ ჭიდაობაში მოუგო ბულგარელ ვ. იანჩევს და იუგოსლავ ბ. მარტინოვიჩს, გახდა ჩემპიონი მსუბუქ წონაში.

დიდი სიმტკიცითა და დინჯად იჭიდავა სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა გიგი კარტოზიამ, რომელიც ქვემძიმე წონაში გამოდიოდა. მაგრამ მან მეტად, გაბედულად განახორციელა უკანასკნელი შეხვედრა თურქ ტ. კიშთან და იძულებული გახდა მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

სამწუხაროდ, ნაკლებ მტკიცედ გამოვიდნენ რომში თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავენი. ქართველ სპორტსმენთაგან საშუალო წონაში მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონი გ. სხირტლაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ვლადიმერ რუბაშვილმა, რომელიც პირველად მონაწილეობდა ასეთ პასუხსაგებ ასპარეზობაში, მოიპოვა ბრინჯაოს მედალი ქვემსუბუქ წონაში.

საბჭოთა კალათბურთელებმა და წყალბურთელებმა, რომელთა შორის ჩვენი თანამემამულენიც იყვნენ, რომის ოლიმპიურ ტურნირში დაიკავეს მეორე საპრიზო ადგილები. კალათბურთელთა შორის იყვნენ გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე, წყალბურთელთა შორის — გიგი ჩიქვანაია და ლერი გოგოლაძე.

ამრიგად, ქართველმა სპორტსმენებმა, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ, მიიღეს მეტი მედალი, ვიდრე, მაგალითად, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ფინეთის, ირანის, კანადისა და სხვა სახელმწიფოთა სპორტსმენებმა. საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 11 საპრიზო ადგილი და მოაგროვეს თითქმის იმდენი ქულა, რამდენიც ავსტრალიამ, არგენტინამ, ინდოეთმა და მექსიკამ ერთად. (საკდესი).

ლიდერთა სამეულში

ბროზნოში გრძელდება ქალთა XX საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობა 14 უძლიერესი მოჭადრაკის მონაწილეობით.

მეოთხე ტურში რუბცოვასა და ტოგონიძის პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ანიშჩენკოოვის პარტიაში. გაფრინდაშვილმა ძლიერად ჩაატარა პარტია ბრილოვასთან და გაიმარჯვა, კოზლოვსკაიამ მოუგო კურეს. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

მეხუთე ტურში, რომელიც 11 სექტემბერს შედგა, ტოგონიძემ დაამარცხა კოზულეევი, გრაჩოვამ — ორავი, რუბცოვამ — იშუტკინა. ლიპაუნოვა - ანიშჩენკოს და კურე - შპაკენეს პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

5 ტურის შემდეგ წინ არიან რუბცოვა, გაფრინდაშვილი და ტოგონიძე. რუბცოვას 4,5 ქულა აქვს, გაფრინდაშვილს 4 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტოგონიძეს 4 ქულა.

ახალი რეკორდი

ამ დღეებში საქართველოს ალპური კლუბის სელელოლოგსპორტსმენთა ექსპედიციამ ირაბიკის მასივის (გაგრის რაიონი) უფსკრულში ჩაადწია 150 მეტრის სიღრმეზე და ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა.

ექსპედიციის ხელმძღვანელის **ლ. მარუაშვილის** უკანასკნელი ცნობით, მამაცმა ქართველმა სელელოლოგებმა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვეს. მათ ქვაბულში, რომელსაც ქართველ გეოგრაფის ვახუშტის სახელი ეწოდა, ჩაადწიეს 180 მეტრის სიღრმეზე და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარეს.

იერიში ჯანღის „სიმაგრეზე"

ყოველი წლის ალპინისტური სეზონის კონკურსში შეტანილია მთამსვლელობის სამი სახეობა — ტექნიკურად რთული ასვლები, ტრავერსები, სიმაღლოვანი ასვლები.

ამ დღეებში ჩვენი გაზეთი მკითხველებს აცნობდა იმ გამარჯვებათა შესახებ, რომელიც ჩვენმა ალპინისტებმა მოიპოვეს პამირში სიმაღლოვანი ტრავერსის ჩატარებისას.

საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის მთამსვლელთა მეორე ჯგუფი ა. ივანიშვილის ხელმძღვანელობით წელს იმყოფებოდა ცენტრალურ კავკასიონზე, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული საკონკურსო ღონისძიება — ტექნიკურად რთული ასვლები.

ამ ექსპედიციამ წარმატებით განახორციელა დასახული გეგმა და თბილისში დაბრუნდა.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მთამსვლელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ა. ივანიშვილმა განაცხადა:

დასავლეთ ჯანღის სამხრეთ კედლის ზედა ნაწილი.

• • •

დასავლეთ ჯანღის სამხრეთ კედლის ზედა ნაწილი. ჯერ კიდევ აგვისტოს პირველ რიცხვებში ხალდეს მყინვარზე დაბანაკებულმა მთამსვლელთა ექსპედიციამ ჩაატარა კედლის დაზვერვა, საწვრთნელი გასვლები. ამის შემდეგ ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ — სპორტის ოსტატი ო. ხაზარაძე, პირველთანრიგოსნები შ. მირიანაშვილი, გ. ბერძენიშვილი, ა.ქძიძიგური, ნ. ნადირაშვილი და გ. მანაგაძე, დაიწყო ჯანღის სამხრეთ კედლის იერიში.

მართალია, ამინდი ხელს გვიწყობდა, მაგრამ კედლის დაძლევა იმდენად ძნელი აღმოჩნდა, რომ იერიშს მთამსვლელები 8 დღეს მოუნდნენ, ხოლო საშიშ შვეულ კედლზე მათ 7 ღამე გაათიეს ხშირად ჩამოკიდებულებმა. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ალპინისტებმა პირველად გამოიყენეს ასაფეთქებელი ნივთიერება ზვავსაშიშ უბნებზე მარშრუტის გასაწმენდად და საკარავე ადგილების მოსაწყობად.

ამრიგად, ქართველ მთამსვლელთა ჩანაფიქრი ხორცშესხმულ იქნა. ჯანღის სამხრეთ კედელი დაპყრობილია. გარდა ამისა დამბმარე ჯგუფი ლ. ჯაფარიძის, ძმები ბ. და ნ. ბაქრაძეების და მთამსვლელი ქალის ლ. ნარიმანიშვილის შემადგენლობით ავიდა მწვერვალ „თბილისზე".



14 და 15 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლადადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 13-18, დღისით 23-28 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 19-24.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვლადადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 12-17, დღისით 24-29 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 7-12, დღისით 18-23 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
ა. კოკილაშვილი.

13 სექტემბერი

თეატრები: მოსკოვის ბოშათა თეატრის „რომენის" გასტროლები — მჩქეფარე სისხლი (ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში), რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — გიქორი (ან. № 6, 10 ს.), თოჯინების ქართული — ტყის საათი (5 ს.).

ტელევიზია: 19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — კინომოყვარულთა ფილმი „პირველი მსოფლიოში", 19.20 — გადაცემა „მაუდ-კამეოლის კომბინატს ახალგაზრდობა", 19.40 — კინოჟურნალი, 19.50 — გადაცემა „სტუმრად ამერიკელ კარდიოლოგებთან", 20.10 — კინონარკვევი, 20.30 — ახალი ამბები, 20.40 — კინოკომედიების ფესტივალი — კინოკომედია „მყუდრო ბინა".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-68-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. სამდივნოსი — 8-51-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-54, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 8-20-48, მუშა სოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

УЭ 04271 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

ბალტიკის ყავისფერი ნაპირებიდან

შეხედეთ საბჭოთა კავშირის რუკას. სამხრეთით, მზიანი შავი ზღვის ნაპირებზე გადაჭიმულა საქართველოს წარმტაცი მიწა-წყალი, მოპირდაპირე მხარეს — დასავლეთით — ქარვისფერ ნაპირებზე, რომლებსაც ბალტიკის პირქუში წყლები აკრავს, მდებარეობს ლიტვის მიწა-წყალი. ჩვენს რესპუბლიკებს ათასობით კილომეტრი ჰყოფს, მაგრამ ბევრი უხილავი ძაფი აახლოებს მათ, როგორც ღვიძლ ძმებს. ვილნიუსის, კაუნასის, შიაულიაის ფაბრიკებსა და ქარხნებში შეხვდებით ინჟინრებს და კვალიფიციურ მუშებს, რომლებიც საქართველოდან ჩამოსულან ლიტვაში, რათა დახმარება გაუწიონ ლიტველ ხალხს სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციაში. ლიტვის მშრომელები თავიანთ დედაენაზე კითხულობენ შოთა რუსთაველის მგზნებარე სტრიქონებს და ბევრი თანამედროვე ქართველი მწერლის ნაწარმოებებს. ლიტვის ლიტერატურის კლასიკოსები ანტანას ვიენუოლის-უჟაკუსკასი და პიატრას ცვირკა არაერთხელ ყოფილან საქართველოში და დიდი სიყვარულით წერდნენ მის შესახებ. მათი ნარკვევები და ლეგენდები საქართველოზე დიდი პოპულარობით სარგებლობენ მკითხველებში.

ვილნიუსის ერთ-ერთ ლამაზ ადგილას, სადაც გორაკების ფერდობებზე შრიალებენ საუკუნოვანი ფიჭვები და მუხები, მადლიერი ლიტველი ხალხის მიერ მექმნილია გმირთა დიდებული აკლდამა — მარადიული დიდების პანთეონი. აქ რუსი, უკრაინელი, ლიტველი მეომრების გვერდით განისვენებს ნეშტი საქართველოს ერთგული შვილებისა, რომლებმაც თავი დასდეს ლიტვის დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. გმირთა საფლავებზე ერთი წუთითაც არ ქრება მარადიული ცეცხლი — ხალხის წმიდა ხსოვნის სიმბოლო.

ბევრი რამ აკავშირებს ჩვენს ხალხებს. ამიტომ სურვილი დამებადა მომეწერა წერილი მეგობრებისათვის მზიურ საქართველოში.

მხატვართა და მოქანდაკეთა ბევრი თაობა ისწრაფოდა ტილოზე გამოესახა, გრანიტსა და მარმარილოში გამოეკვეთა ისეთი ფიგურა, რომელიც ლიტვის სიმბოლო იქნებოდა. უფრო ხშირად ისინი სამშობლოს სახავდნენ ღარიბ გლეხურ-ტანსაცმლიანი თავშალმოხვეული უბრალო ქალის სახით. როგორც არ უნდა გაბაზული ტუჩები, ჯიუტი ნაოჭი ტუჩებიდან დაუყვება ოდნავ წინწამოწეული ნიკაპისაკენ. უბრალო ლიტველი ქალიშვილის სახე აქვს. იქნებ მართებული იყოს სწორედ ასეთი სახისა ჩამოასხან ბრინჯაოსაგან საბჭოთა ლიტვის ქანდაკება.

წერილი მოქმე ლიტვიდან

მოესახათ მხატვრებს ლიტვა, ისინი მის კეთილშობილურ სახეს მუდამ ხედავდნენ მოქანცულს, ზრუნვით შეპყრობილს, ნაადრევი ნაოჭებით დალარულს, დიან, სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო სახე აუტანელი შრომით, უკიდურესი გაჭირვებით დატანჯული ქალისა. ბურჟუაზიული ბატონობის იმ ავად სახსენებელ დროს ხომ გმინავდა თვითეული ქოხი, გმინავდა მთელი ლიტვა. ხალხის სისხლითა და ცრემლით მორწყული ძველი ქვეყანა ძველი ხალხისა ინარჩუნებდა თავის მკაცრ სახეს.

დღეს სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება ლიტვა. და როცა ვფიქრობ, თუ როგორ ემჯობინება მისი გამოსახვა, მუდამ თვალწინ მიდგანან ბედნიერი თანატოლნი საბჭოთა ხელისუფლებისა ლიტვაში. აი ლიტვის ერთ-ერთი ახელოვანი ქალიშვილი — კოლმეურნეობა „ანტაკალნისის" აგრონომი ონა მარჩიულენტე. მას მაღალი თეთრი შუბლი აქვს, ბეჭებზე ორი მძიმე ნაწნავი ჰკიდია. გამომეტყველი, ცნობისმოყვარე თვალები ფართოდ გაუხელია. ჩაგრად მოუკუმავს მკაფიოდ მოდიან, ონა მარჩიულენტეს ბედიც წაგავს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ბედს. 1940 წელს, როცა ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, პატარა ონა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა. გოგონა ლაპარაკს სწავლობდა იმ დღეებში, როცა გამარჯვების სიხარულით დამთვრალი ლიტვა ბობოქრობდა მიტინგებით, კრებებით, ადგენდა მომავლის ზღაპრულად გაბედულ გეგმებს. მამამისი ანტანას მარჩიულენისი იმ ღირსსახსოვარ 1940 წელს მთელი დღეობით დაადიჯებდა მშობლიურ მინდვრებში. იგი, სპეციალობით მიწისმზომელი, პანების მამულებისა და კულაკთა ხუტორების მიწას ჰყოფდა. საბჭოთა ხელისუფლება მიწას აძლევდა იმათ, ვინც მას ამუშავებს, მიწას აძლევდა ყოფილ მოჯამაგირეებს, მიწამცირე გლეხებს.

შემდეგ საბჭოთა ქვეყანას ომის ქარშიხალმა გადაუარა.

ზარბაზნების გრიალმა, მქუხარე „ვაშამ", თოფის წამლით შებოლილი დროშების ფრიალმა ამცნო ქვეყანას, რომ დადგა მტერზე გამარჯვების უამი. ლიტვა კვლავ ზეიმობდა. ისევე, როგორც ომის წინ, მიწისმზომელი ანტანას მარჩიულენისი თანასოფლელებს უნაწილებდა მიწას, უხვად მორწყულს საბჭოთა ადამიანების სისხლით, ბრძოლებით გამოტაცებულს ფაშისტთა კლანჭებიდან. გოგონა პირველ კლასში შევიდა, ისწავლა ასოები და ჩათვლით წაიკითხა ანბანის წიგნში სიტყვა „დედის" გვერდით სიტყვები „ლიტვა", „საბჭოთა კავშირი" და „მშვიდობა".

ონა მეცხრე წელში იყო გადამდგარი, როცა მას უდიდესი უბედურება დაატყდა თავს. ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა ავაზაკურად მიპარვით მოკლეს მიწისმზომელი ანტანას მარჩიულენისი.

გოგონამ ცხოვრების სასტიკი გაკვეთილი მიიღო და მიხვდა, რომ მისი ვალი იყო შეეცვალა საბრძოლო პოსტზე დაღუპული მამა. იგი ბიჯითად სწავლობდა. 1956 წელს ონამ დაამთავრა კაუნასის მეხილეობა-მებოსტნეობის ტექნიკუმი, მიიღო აგრონომის წოდება და სამუშაოდ წავიდა სოფელში, რომელიც ახლა უკვე საკოლმეურნეო სოფელი გახდა. იგი ახლის, მოწინავის მატარებელი გახდა კოლმეურნეობაში. მის გარშემო გაერთიანდა კოლმეურნე ახალგაზრდობა.

ონა მარჩიულენიტეს კოპწია კაბაზე პატარა მზესავით უბრწყინავს პატარა ალმი. ლიტვის სახელმწიფო ალმის სამი ფერით. მშობლიური პრენაის რაიონის მშრომელთა რჩეული ონა ანტანის ასული მარჩიულენტე როგორც ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აქტიურად მონაწილეობს უმნიშვნელოვანესი კანონების მიღებაში, რომელთა მიზანია რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება, მისი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ოცი წელი მოკლე ვადაა ადამიანის სიცოცხლეში, კიდევ უფრო მოკლეა იგი ხალხის, რესპუბლიკის ისტორიაში. ონა მარჩიულენტეს წლებში, როგორც წვეთ წყალში, ასახულია ლაჟვარდი უნაპირო ცა, ასახულია